პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ამიერკავკასიის რკინიგზელი

რკინიგზის სამმართველოს, პოლიტგანყოფილების და პროფკავშირის საგზაო კომიტეტის ორგანო
«Железнодорожник Закавказья» — орган управления, политотдела и дорпрофсожа Закавказской железной дороги.

ხუთშაბათი
22
მარტი
1956 წელი
№ 35 (4497)
ფასი 15 კაპ.

მეექვსე ხუთწლედი უნდა იყოს საბჭოთა ქვეყნის საწარმოო ძალების შემდგომი მძლავრი განვითარების, წარმოების უფრო მაღალ ტექნიკურ დონეზე სახალხო მეურნეობის გადასვლის ხუთწლედი, ყველა ხარისხობრივი მაჩვენებლის სერიოზული ამაღლებისა და სამეურნეო ხელმძღვანელობის გაუმჯობესების ხუთწლედი

(სკკპ XX ყრილობის დირექტივებიდან სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1956-1960 წლების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ)

მთელი ძალები მოვახმაროთ სკკპ XX ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებას

★

ამას წინათ თბილისის რკინიგზის ტექნიკუმის კურსდამთავრებულთა ერთი ჯგუფი პრაქტიკას გადიოდა გზის თბილისის განყოფილების საექსპლოატაციო განყოფილებაში. სტუდენტები ეცნობოდნენ მატარებელთა მოძრაობის რეგულირების მეთოდებს.

სურათებზე: მარცხნივ — კურსდამთავრებულნი **ი. ზელიონაია, ა. რუდენკო, ს. შმულევიჩი** და **პ. ნიკიფოროვი** ეცნობიან დისპეტჩერ **გ. ხიტირიას** მუშაობას; მარჯვნივ — დისპეტჩერი **ე. შენგელია** მოუთხრობს **რ. სალენკოვას, ვ. ბოგუშევასა** და **ი. სიროეს** თბილისი — ხაშურის უბნის საექსპლოატაციო მუშაობის თავისებურებათა შესახებ.

ფოტო ა. შახბაზოვისა

ელმავლების შეკეთების მსხვილი ბაზა

სკკპ XX ყრილობის დირექტივებით გათვალისწინებულია რკინიგზების ელექტროფიკაციის შემდგომი ზრდა და რკინიგზის ტრანსპორტის აღჭურვა თანამედროვე ლოკომოტივებით.

ახალ ხუთწლედში რკინიგზების ელექტროფიკაციის განვითარებასთან დაკავშირებით კიდევ უფრო გაიზრდება როლი თბილისის ლოკომოტივშემკეთებელი ქარხნისა, რომელიც ელმავლების საქარხნო შეკეთების მსხვილ ბაზას წარმოადგენს. აქ შესაკეთებლად ელმავლები და მოტორვაგონიანი სექციები მოდის ამიერკავკასიის, პერმის, სვერდლოვსკის, ორჯონიკიძის, აზერბაიჯანისა და სხვა რკინიგზებიდან.

ქარხნის საწარმოო სიმძლავრე მეექვსე ხუთწლედში, მეხუთე ხუთწლედთან შედარებით, გაიზრდება 75 პროცენტით.

ელმავლებისა და მოტორვაგონსექციების კაპიტალურ და საშუალო შეკეთებასთან ერთად ქარხანაში წარმოებს მათი მოდერნიზაცია. მაგალითად, ხდება სვერდლოვსკის რკინიგზის ВЛ-19 სერიის ელმავლების მოდერნიზაცია, რომლებიც კაპიტალურ შეკეთებას გადიან. ელექტრომანქანები, ვენტილატორები, მძველებული კონსტრუქციის კომპრესორები იცვლება ახლით, გაუმჯობესებული კონსტრუქციით. იცვლება აგრეთვე ელექტროაპარატურის დიდი ნაწილი: წარმოებს მაღალვოლტიანი და დაბალვოლტიანი ელექტროსადენების გაწყობა ახალი სქემით.

დასახულია მეექვსე ხუთწლედში ქარხანაში განხორციელდეს მრავალი ორგანიზაციულ - ტექნიკური ღონისძიება. დაინერგება შრომატევადი პროცესების მექანიზაცია და ავტომატიზაცია. აიგება ახალი შენობები ქარხნის ტექნოლოგიური საჭიროებისათვის. მაგალითად, მიმდინარე წელს მოეწყობა წევის ქვესადგური ქარხნის მისასვლელი ლიანდაგების საკონტაქტო ხაზის გამოსაკვებად, მოწყობილი და საექსპლოატაციოდ გადაცემულია მაღალი წარმადობის ჟანგბადის სადგური, რომელიც მთლიანად უზრუნველყოფს ჟანგბადით არა მარტო ქარხანას, არამედ თბილისის მთელ რიგ სხვა საწარმოებს. დამთავრდება აგრეთვე მძლავრი ელექტროხიდურა ამწის მონტაჟი ამწყობ საამქროში.

ქარხანაში იქმნება ახალი სექციურ-კოჭური საამქრო. გათვალისწინებულია ნარჩენების გამომუშავებელი საამქროს მოწყობა. ეს ღონისძიება დაახლოებით 100 ათას მანეთ წლიურ ეკონომიას მოგვცემს. ამას წინათ ამუშავდა ქარხანაში გაკეთებული საჰაერო კომპრესორი, რომლის სიმძლავრე შეადგენს 40 კუბმეტრ შეკუმშულ ჰაერს წუთში.

1957 წელს საექსპლოატაციოდ გადაეცემა სტატიკური კონდენსატორები ელექტროენერგიის სიმძლავრის კოეფიციენტის გასადიდებლად, მოეწყობა სასწორები ლოკომოტივების ღერძზე დაწოლის განსაზღვრისათვის და ა. შ.

ნ. თუთბერიძე

★

მევაგონეთა სახახელო საქმეები

შორაპნის სავაგონო დეპოს კოლექტივმა პირნათლად შეასრულა სკკპ XX ყრილობის აღსანიშნავად აღებული ვალდებულება. იანვარსა და თებერვალში კაპიტალური შეკეთებიდან გეგმის ზევით გამოშვებულია სამი ვაგონი, საშუალო შეკეთებიდან — 4, წლიურიდან — 10 ვაგონი.

ორი თვის განმავლობაში საწარმოს მოგებამ 46 ათას მანეთზე მეტი შეადგინა. თებერვალში გოგორწყვილების შეკეთების გეგმა შესრულდა 241 პროცენტით.

ეს წარმატებები მოპოვებულია დეპოს მთელი კოლექტივის მაღალნაყოფიერი შრომის შედეგად. დურგლები ე. სხილაძე და ა. გაჩეჩილაძე ნორმებს 250 პროცენტით ასრულებენ, დიდი გადაჭარბებით ანაღდებენ დავალებებს ზეინკლები მ. ჩიტალაძე, შ. გორგაძე და სხვები.

დეპოს კოლექტივი აქტიურად იბრძვის წლიური გეგმის ვადამდე შესრულებისათვის.

მ. კვინიკაძე

შეჯიბრების მოწინავენი

სანაინელმა მელიანდაგეებმა 125 პროცენტით შეასრულეს იანვარ-თებერვლის საწარმოო გეგმა. ამ დროის განმავლობაში შეცვლილია 5 ისარი და საისრე გადამყვანის 3 კომპლექტი. მელიანდაგეთა შორის სულ უფრო ფართოვდება სოციალისტური შეჯიბრება სკკპ XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა პასუხად ნაკისრ ვალდებულებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის, საისრე მეურნეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. ამ შეჯიბრების მოწინავეთა რიგებში არიან ლიანდაგის მუშები ტ. ტიტანიანი, გ. ავეტისიანი, გ. ანთარამიანი, ა. მაკიჩიანი, პ. პეტროსიანი.

ლიანდაგის შემომვლელები ს. ახინიანი, ტ. დავთიანი, ქ. ბარსეგიანი, ა. ოვანესიანი სანიმუშო მდგომარეობაში ინახავენ თავიანთ უბნებს, უზრუნველყოფენ მატარებელთა მოძრაობის უშიშროებას.

მ. ანანიანი

გადასასვლელის მოწინავე მოკრიბეები

ბათუმის დისტანციის მრავალი მელიანდაგე სისტემატურად ეუფლება ტექნიკურ ცოდნას და იჩენს შემოქმედებით ინიციატივას მუშაობაში.

შრომის მისაბაძ მაგალითებს იძლევიან შემკეთებელი მუშები ტ. ქათამაძე, პ. ჰოპოვა, ელექტროშემდუღებელი ლ. ბეზმაგარიჩნაია.

კარგად ინახავენ თავიანთ გადასასვლელებს მორიგეები ი. ლომცევა, ფ. აგაფონოვა, ა. კალაჩევა. თებერვლის სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მიხედვით მათ გადასასვლელის საუკეთესო მორიგეების წოდება მიეკუთვნათ და გადაეცათ ქების სიგელები.

გ. ქართველიშვილი

სიცხესა და სიცივეში

ლიანდაგებზე დგას სამი მთლიანლითონიანი ვაგონი, რომლებიც სასიამოვნო ლიაყვითელფერად არის შეღებილი. ეს რეფრიჟერატორული მატარებელია, რომელსაც მანქანური გაცივება და ელექტრული გათბობა აქვს.

—ახალი მოძრავი მაცივარი გამოშვებულია პარტიის XX ყრილობისათვის პრიანსკის ორთქლმავალმშენებელი ქარხნის კოლექტივის მიერ, — ამბობს რეფრიჟერატორული სექციის მთავარი კონსტრუქტორი ანდრია ათანასეს-ძე კოზმინი. — მატარებლის დაპროექტება და მშენებლობა განხორციელებულ იქნა სამ თვეში.

მასში ჯვილაფერი, დაწყებული მონიკელებული ჭარის სახელურებით და დამთავრებული დიზელ-ელექტროსადგურით, მკვიდრად და ლამაზადაა გაკეთებული. შუა ვაგონშია 160 ცხენის ძალიანი სიმძლავრის ორი დიზელ-გენერატორული დანადგარი, რომლებსაც მოქმედებაში მოჰყავს რთული გამაგრილებელი მოწყობილობა. იქვეა მძლავრი კომპრესორი. ასეთი აგრეგატებით მომარაგებულია სამივე ვაგონის სამანქანო განყოფილება.

მატარებელ - რეფრიჟერატორებისაგან განსხვავებით, რომლებიც ამონიაკური აგენტით მოქმედებს ფრეონი— 12 უფერო და უწნებელ გაზზე. მაცივარდანადგარები იმუშავებენ საკმაო რაოდენობის ქლორაიას იმისათვის, რათა 30 გრადუსიან სიცხეში ტემპერატურად იყოს მინუს 20 გრადუსი ტემპერატურა ცელსიუსით.

მაგრამ არის ისეთი მალფუჭებადი ტვირთები, რომლებიც უკეთ ინახავენ თავიანთ ხარისხს სითბოში. ამიტომ ტვირთსათავსოებში დგას ელექტროლუმელები, რომლებიც 14 გრადუს სითბოს უზრუნველყოფენ 45 გრადუსიან ყინვაში.

მატარებლის გასაგრილებელ და გამთბობ მოწყობილობას აქვს ცენტრალური მართვა. ვაგონების ტვირთსათავსოებში არის თერმოსტატები — ხელსაწყოები, რომლებიც ავტომატურად ინარჩუნებენ დაყენებულ ტემპერატურას.

— მიმდინარე წელს,—განაცხადა ამხ. კოზმინმა,— ახალი მატარებელი — მაცივარი გაივლის საექსპლოატაციო გამოცდას, რის შემდეგ ქარხანა შეუდგება ასეთი სექციების სერიულ გამოშვებას.